https://doi.org/10.35945/gb.2022.14.008

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური როლი 21-ე საუკუნეში სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში

ლალი კაპანაძე

ისტორიკოსი, სოციალური მეცნიერებების აკადემიური დოქტორი (პოლიტიკის მიმართულებით);
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: პორტები, სტრატეგიული კონკურენტი, კუნძული, საზღვაო ფლოტი, სამხრეთ ჩინეთის ზღვა

შესავალი

აშშ და ჩინეთი, მსოფლიოს ორი უძლიერესი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა. რაც შეეხება სამხრეთ ჩინეთის ზღვას, მასზე 7 ქვეყანას აქვს გასასვლელი. ქვეყნები ინტენსიურ ურთიერთობებს ინარჩუნებენ ეკონომიკური კავშირების და საზღვაო მარშრუტების გამოყენებით. აშშ ცდილობს შემოიკრიბოს მეტი მოკავშირე, რათა არ დაუშვას ჩინეთის ჰეგემონია. შეერთებული შტატები, ასევე, არ აპირებს დაკარგოს ძლიერი პოზიცია აზიაში, რაც შეიძლება გამოიხატოს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებზე ზეწოლის მცდელობით. ამავდროულად, მისი მთავარი ინტერესი რეგიონში არის თავისუფლებისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აქ უდიდესი რეგიონალური პორტებია. სამხრეთ ჩინეთის ზღვა მდიდარია: ზღვის პროდუქტებით, მინერალებით, კეთილშობილი და იშვიათი ლითონებით, სპილენძით, ფოსფორით, მანგანუმით, ალუმინით. გარდა ამისა, ტერიტორია მიმზიდველია იმის გამო, რომ აქ ორგანული სასუქის უხვი მარაგია, რომელიც მსოფლიო ბაზრებზე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. აი, რატომ არის აშშ დაინტერესებული ამ რეგიონით, პეკინს კი სურს ამ რეგიონში ყველაზე დიდი ფლოტი და ინფრასტრუქტურა ჰქონდეს.

შტატების საგარეო პოლიტიკის ცვლილება აღნიშნული რეგიონის მიმართ 90-იანი წლებიდან

თუ კოლინ პაუერი ჩინეთს მტრად მიიჩნევდა, ბუშის ადმინისტრაციამ ის „სტრატეგიულ კონკურენტად“ გამოაცხადა. კისინჯერი აღნიშნავდა: „მე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ვაკვირდებოდი აშშ-ჩინეთის ურთიერთობების განვითარებას, აქამდე არასდროს ყოფილა კავშირები ჩვენს ქვეყნებს შორის ისე მჭიდრო, როგორც ახლა“. 2010 წელს კი ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობის მოცულობამ 385,3 მლრდ დოლარს მიაღწია. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა არასტაბილურია და ხშირად იცვლება პოლიტიკური სიტაციიდან გამომდინარე.

ობამას ადმინისტრაციის დროს, 2010 წლის დასაწყისში, ჩინეთის ურთიერთობების გაციება აღინიშნა შეერთებულ შტატებთან, გაწყდა სამხედრო ურთიერთობებიც, რაც გამოწვეული იყო ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით — ტაივანში დიდი ოდენობით (6,3 მილიარდი დოლარის ღირებულების) იარაღის მიყიდვის დამტკიცების შესახებ. თუმცა, ობამას დროს განხორციელდა სტრატეგიული და ეკონომიკური დიალოგი ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. „აზიისკენ მიბრუნების“ პოლიტიკა, იყო ერთგვარი მდელობა მოცემულ რეგიონში დაკარგული ადგილის დასაბრუნებლად.

ჩინეთი ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულებზე, აფართოებს

რამდენიმე რიფს და არ აძლევს სხვა ქვეყნების მეთევზეებსა და სამხედრო გემებს მათთან მიახლოების საშუალებას. შეერთებული შტატები არ დაუშვებენ რეგიონიდან მის გაძევებას. ასე, რომ გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა არ დასრულებულა. ჩინეთი იბრძვის მეზობელ სახელმწიფოებთან სამხრეთ ჩინეთის ზღვაში დომინანტი პოზიციის მისაღებად. პეკინი პრეტენზიას აცხადებს რეგიონის 90 პროცენტზე. ის ზოგიერთ მეზობელ სახელმწიფოს პროვოკაციულ ქმედებებსა და ჩინეთის რიფებსა და კუნძულებზე სამხედროების ყოფნაში ადანაშაულებს და იმედოვნებს, რომ მომავალში ჩინეთის ფლოტი და სამხედრო ავიაცია უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ჩინეთი მოქმედებს საკუთარი ინტერესების დასაცავად

2015 წელს, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ჩინეთის საზღვაო ძალების წვრთნები მიმდინარეობდა შეერთებულ შტატებთან წინააღმდეგობებისა და რეგიონის რამდენიმე ქვეყანასთან დავის ფონზე, მანევრების მიზეზი იყო ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვა საზღვაო ძალების საშუალებებით, რადგანაც ჩინეთი ზღვის ტერიტორიის 80%-ს თავის სუვერენულ ტერიტორიად მიიჩნევს. ვითარებას ართულებს ახლომდებარე კუნძულები და არქიპელაგი, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებენ: ჩინეთი, ვიეტნამი, ბრუნეი, მალაიზია, ტაივანი და ფილიპინები. აქ ასზე მეტი კუნძულია, მდიდარი სხადასხვა რესურსებით. რამდენიმე წლის წინ ჩინეთმა გადაწყვიტა საზღვაო ფლოტი სანაპირო ტერიტორიების დაცვიდან უსაფრთხოების რეჟიმში გადაიყვანოს. აქტიური თავდაცვის კონცეფციით ხელმძღვანელობის მოტივით, ჩინეთი იტოვებს უფლებას აწარმოოს პროფილაქტიკური ადგილობრივი დარტყმები მტრის წინააღმდეგ, ამ მიზეზით შენდება ახალი ხომალდებიც.

ამავდროულად, ჩინეთი შეშფოთებულია დაახლოებით 1000000-იანი აშშ-ის ჯარის რეგიონში ყოფნით და მეზობელ სახელმწიფოებთან აშშ-ს სამხედრო პარტნიორობის განვითარებით. მარტო იაპონიაში აშშ-ის 52 სამხედრო ობიექტია განთავსებული. 2015 წლის მაისში, პენტაგონმა დაგეგმა საზღვაო ოპერაცია სამხრეთ ჩინეთის ზღვის სადავო კუნძულებზე ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაზეც პეკინმა შეერთებულ შტატებს განმარტება მოსთხოვა.

ამერიკელების და მათი მოკავშირეების აზრით, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში უთანხმოების მიზეზი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი ტერიტორიული პოლიტიკაა, რაც ეხება სანაპირო ზოლის გაფართოებას და საზღვაო კომუნიკაციებზე კონტროლის გაძლიერებას. აშშ ასე გულგრილად ვერ შეხვდება ჩინეთის მიერ ოკეანეზე კონტროლის დამყარების მცდელობას. აშშ-მ არაერთხელ მოუწოდა ჩინეთს შეწყვიტოს ახალი ტერიტორიების — 3 მლნ კვადრატული კილომეტრის ათვისება, რაც პეკინს თავის ეკონომიკურ ზონად მიაჩნია.

შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ აპირებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გავლენის სფეროების დათმობას ჩინეთისათვის. მასთან სტრატეგიულ დაპირისპირებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება იაპონიას, რომელმაც 2015 წლის დასაწყისში დაამტკიცა ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი — 42 მლრდ დოლარი. შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვს იაპონიის საზღვაო ძალების სარაკეტო თავდაცვისა და ავიაციის დაჩქარებულ განვითარებას. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია ჩინეთთან სადავო ტერიტორიების, სენკაკუს კუნძულების (ჩინური სახელი — დიაოიუ) დასაცავად აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში. იაპონიამ შეშფოთება გამოთქვა ჩინეთის მოქმედებაზე, რაზეც ჩინეთმა იაპონია დაადანაშაულა რეგიონში დაძაბულობის შეტანაში. 2015 წლის 14 მაისს იაპონიის მთავრობამ დაამტკიცა კანონი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახელმწიფოს გარეთ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, რითიც მოიხსნა საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციების აკრძალვა.

აშშ იმედოვნებს, რომ ვიეტნამიც ჩაერთვება ანტიჩინურ ალიანსში, რომელიც, თავის მხრივ, სპრატლის კუნძულებზე პრეტენზიას აცხადებს. ეს „სადავო არქიპელაგი, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, მოიცავს მცირე და მარჯნის კუნძულებს და ასზე მეტ რიფს. ირგვლივ მდიდარი წყლებია მეთევზეთათვის და ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგებსაც შეიცავს“[1]. მათ ჩინეთი ქვეყნის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ვერ ვიტყვით, რომ ეს არის აშშ-ის მხრიდან ომი, მაგრამ, ფაქტია, რომ ამ დაპირის-

1 China in Focus: Lessons and Challenges. https://www.oecd.org/china/50011051.pdf.2020 https://www.oecd.org/china/50011051.pd (გადამოწმებულია 2020 წლის 7 დეკემბერს) U.S.-China Strategic Competition in South and East China Seas: Background and Issues for Congress Updated January 26, 2022. https://sgp.fas.org/crs/row/R42784.pdf გვ. 26 (გადამოწმებულია 2022 წ-ს 7 დეკემბერს).

პირებით ეკონომიკას ადგება ზიანი, ხოლო რეგიონში იქმნება დაძაბულობა და კონფიქტის კერები ძლიერსა და სუსტ სახელმწიფოებს შორის.

2015 წელს, აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალმა, ადმირალმა სკოტ სვიფტმა თქვა, რომ აშშ-ის ჯარები მზად არიან რეაგირება მოახდინონ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მომხდარ ინციდენტზე, საჭიროების შემთხვევაში კი მათ შეუძლიათ აქ გაგზავნონ სამხედრო ხომალდებიც. ვაშინგტონმა ღიად განაცხადა, რომ ჩინეთის წვრთნები საფრთხეს უქმნის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში სტაბილურობას, ასევე, აშშ მზად არის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, მოკავშირეებთან ერთად, გამართოს წვრთნები. ჩინეთი აკრიტიკებს შეერთებულ შტატებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში „მილიტარისტული საქციელის" გამო, უარყოფს ბრალდებებს და აღნიშნავს, რომ მათი პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ინტერესების დაცვას და რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას.

აშშ-ის საზღვაო ძალები რეგულარულად აწარმოებს ნაოსნობაში ე.წ. „ნავიგაციის თავისუფლების" დაცვას. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი იკვლევს საბრძოლო თვითმფრინავებისა და გემების გამოყენების შესაძლებლობას ჩინეთის მხრიდან. მხარეთა დაპირისპირება რეგიონში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს, შეერთებული შტატები და ჩინეთი ატარებენ სხვადასხვა მანევრებს და ადანაშაულებენ ერთმანეთს რეგიონში მშვიდობისათვის საფრთხის შექმნაში. სიტუაციას ამძაფრებს ამერიკული სამხედრო გემების გასვლა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში — რაც პეკინის თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართლის დარღვევა და ჩინეთის სუვერენიტეტის შელახვაა. თუმცა ვაშინგტონი ამაში პრობლემას ვერ ხედავს და არ აპირებს უარის თქმას. აშშ-ის გემების არსებობა, ნაწილობრივ, ახდენს თავის კორექტირებას რეგიონში არსებულ ვითარებაზე, რაც უარყოფითად აისახება სამხრეთ ჩინეთის ზღვის ტერიტორიულ დავაზე. დებატები წარმოიქმნება ნახშირწყალბადებით მდიდარ კუნძულებზე — ამ ტერიტორიებისათვის დავებზე, ჩინეთის გარდა, ბრუნეი, ვიეტნამი, მალაიზია და ფილიპინებიც მონაწილეობენ.

ზოგადად, აშშ-ის ქმედებები რეგიონში შეიძლება განვიხილოთ, როგორც თეთრი სახლის ანტიჩინური კამპანიის ნაწილი. ამასთან ერთად, ამერიკული მხარე ცდილობს, დაადანაშაულოს ჩინეთი კორონავირუსის პანდემიის დაწყებაში, ვირუსის გაჩენაში მონაწილეობასა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაზე ზეწოლაში, რომელიც შეერთებულმა შტატებმა უკვე დატოვა.

შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია გააკრიტიკა ჩინეთი, ჰონგ კონგთან, ტაივანთან და ტიბეტთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების გამო. ოფიციალურად, ვაშინგტონს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ტაიპეისთან, რომელსაც ჩინეთი თავის რეგიონად მიიჩნევს, მაგრამ სამხედრო დახმარებას უწევს მას. ასევე, ტიბეტის მთელი რიგი ტერიტორიები შეერთებულმა შტატებმა „ოკუპირებულ ტერიტორიად" მიიჩნია. ამასთან ერთად, ჩინეთსა და ინდოეთს შორის მომხდარ შეტაკებაზე მესაზღვრეებს შორის, აშშ ცალსახად ინდოეთის მხარეზეა, რაც დამატებით აღიზიანებს ჩინეთს.

2020 წლიდან კი ჩინეთს ემუქრება სანქციებით ეროვნული უსაფრთხოების კანონის მიღებით.

შტატებსა და ფილიპინებს შორის 2016 წელს გაფორმებულ გაფართოებულ თავდაცვის შეთანხმება

2015 წლის ივნისში ბრიტანულ გამოცემა The Independent — იწერდა, რომ: „ამერიკელები კიდევ ერთხელ მზად არიან დაიცვან ფილიპინები და მთელი რეგიონი"[2], ამის დასტურად, ამერიკული სარაკეტო კრეისერი მივიდა ფილიპინებში დახურულ სამხედრო ბაზაზე. შეერთებულ შტატებსა და ფილიპინებს შორის შეთანხმება მიზნად ისახავს აშშ-ფილიპინების ალიანსის გაძლიერებას. 2016 წლის 19 მარტს ფილიპინების და შეერთებული შტატების მთავრობა შეთანხმდა აშშ-ის ჯარების განთავსების თაობაზე — 5 ბაზაზე. 2016 წლის ხელშეკრულება შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს აქ შეიარაღებული ძალები განთავსონ; ააშენონ და ამუშაონ ობიექტები ფილიპინების ბაზაზე როგორც აშშ-ის, ისე ფილიპინების ძალებისთვის; ფილიპინელ პერსონალს აძლევს წვდომას ამერიკულ გემებსა და თვითმფრინავებზე. აშშ-ს არ აქვს უფლება — შექმნას მუდმივი სამხედრო ბაზები და განათავსოს ან შეინახოს ბირთვული იარაღი. 2016 წლის 12 იანვარს ფილიპინების უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა შეთანხმების კონსტიტუციურობას.

ფილიპინები ვაშინგტონისთვის, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიული

2 U.S.-China Strategic Competition in South and East China Seas: Background and Issues for Congress Updated January 26, 2022. https://sgp.fas.org/crs/row/R42784.pdf გვ. 26 (გადამოწმებულია 2022 წ-ს 7 დეკემბერს).

კონტროლის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია. ორი სახელმწიფო რეგულარულად ატარებს ერთობლივ სამხედრო წვრთნებს, რაც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს ჩინეთის სამხედრო ძალაუფლების ზრდის შეჩერებას. გარდა ამისა, შეერთებული შტატები ინარჩუნებს სპეცდანიშნულების მცირე შემადგენლობას კუნძულზე, რათა მხარი დაუჭიროს მანილას ტერორისტული დაჯგუფების და ისლამურ სახელმწიფოსთან ასოცირებული სხვა ბოევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. რესპუბლიკაში აშშ-ის სამხედრო ყოფნა ყველგან იგრძნობა, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული ბიუჯეტის შევსებაში. 2016-იდან 2019 წლამდე ვაშინგტონმა დაახლოებით 550 მლნ აშშ დოლარი სამხედრო დახმარება გამოუყო კუნძულ ქვეყანას.

მართალია, ფილიპინებმა შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლობა 1946 წელს მოიპოვეს, მაგრამ ვაშინგტონი ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა მანილას საუკეთესო მეგობრად. საზოგადოებრივი აზრი კი მკაცრად ანტიჩინურია.

დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობა ჩინეთსა და ფილიპინებს შორის ძალიან რთული იყო სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულებან დაკავშირებით, რომელზეც, ამ ორი ქვეყნის გარდა, პრეტენზიას გამოთქვამდნენ: ვიეტნამი, მალაიზია და ბრუნეი. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2013 წელს ფილიპინებმა ჩინეთს საერთაშორისო სასამართლოში კი უჩივლეს. ფილიპინების ინფრასტრუქტურა, ხიდების, გზებისა და კაშხლების ჩათვლით, ასობით მილიარდი დოლარი ღირს. 2018 წლის ნოემბერში, სი ძინპინმა და დუტერტემ გააფორმეს სესხის ხელშეკრულება ფილიპინების მრავალი პროექტის დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ეს მნიშვნელოვნად აღემატება ფილიპინებში ამერიკულ ინვესტიციებს. გარდა ამისა, დუთერტემ დაადასტურა, რომ რესპუბლიკა უერთდება „ჩინეთის სარტყელისა“ და „აბრეშუმის გზის“ ინიციატივას, რაც ამ სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად აქცევს. შეერთებული შტატები და ფილიპინები ინარჩუნებენ მჭიდრო უსაფრთხოების კავშირებს და ხშირად ატარებენ ერთობლივ სამხედრო წვრთნებს თავსებადობის გასაზრდელად. 2022 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა და ფილიპინებმა ჩაატარეს 37-ე სამხედრო წვრთნები BALIKATAN — ყოველწლიური ღონისძიება, რომელშიც აშშ-ისა და ფილიპინების სამხედრო პერსონალი ერთობლივად წვრთნიან კონტრტერორისტულ, ამფიბიურ, ურბანულ და საავიაციო ოპერაციებში. 2022 წლის ოქტომბერში, 530 ფილიპინელმა საზღვაო ქვეითმა და 2,550 ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა, იაპონიის სახმელეთო თავდაცვის ძალებისა და კორეის რესპუბლიკის საზღვაო ძალების მცირე კონტიგენტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სავარჯიშო KAMANDAG 2022-ში, რომელიც ფოკუსირებული იყო შემდეგ ამოცანებზე: ამფიბიური, საზღვაო ოპერაციების, სპეციალური ოპერაციების კომბინირებული შესაძლებლობების გაზრდა; უსაფრთხოება, სანაპირო თავდაცვა; კომბინირებული შეიარაღება და ჰუმანიტარული დახმარება და კატასტროფების დახმარება.

ფილიპინურ-ჩინური პროექტის გამო დაიწყო აქტიური კამპანია დუტერტეს და მისი ჩინური ინიციატივების წინააღმდეგ. კორონავირუსის აფეთქებამ კი პრეზიდენტისა და მთავრობისდმი ნდობა შეარყია. ადგილობრივი დამკვირვებლებიც კი აღიარებენ, რომ საშინელია არა მხოლოდ კორონავირუსის, არამედ ქსენოფობიის აფეთქებაც.

ცხადია, ამ გარემოებით ისარგებლებს აშშ და სიტუაციას თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს.

დასკვნა

შეერთებული შტატები ჩართულია სამხრეთ ჩინეთის ზღვასთან დაკავშირებულ დავაში თითქმის დაარსების დღიდან. ზოგჯერ ამას ამერიკული ინტერესების ფხიზელი და აქტიური დაცვის სახე ჰქონდა.

ამჯერად, ფსონები უფრო მაღალია და სავარაუდოდ, სამხრეთ ჩინეთის ზღვის დავა უკანა პლანზე გადასვლას არ აპირებს. თუ შეერთებული შტატები თავისი ეროვნული ინტერესების დაცვას აპირებს, უფრო ფრთხილად უნდა იყოს მათ განსაზღვრასა და განხორციელებაში. დღეს ინდოეთისა და წყნარი ოკეანე ამერიკის გრანდიოზული სტრატეგიის ცენტრშია და ეს სტრატეგია ვერ იქნება წარმატებული სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული წესებისა და ალიანსების დაცვის გარეშე.

REFERENCES:

1. https://amikamoda.ru/ka/strany-vostochnoi-evropy-posle-vtoroi-mirovoi-voiny-strany-blizhnego-i.html Eastern European countries during World War II (Updated in October 2022).
2. https://ka.wikipedia.org/ wiki/ The Spratly Islands. Office of the Spokesperson Washington, DC January 12, 2016 (Updated in October 2022).
3. https://foreignpolicy-com.translate.goog/2022/08/14/the-united-states-is-deeply-invested-in-the-south-china-sea/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ru&_x_tr_hl=ru&_x_tr_pto=sc The United States Is 4. Deeply Invested in the South China Sea (Updated in October 2022)
4. The United States Is Deeply Invested in the South China Sea. Michael McDevitt A Occasional Paper The South China Sea: Assessing U.S. Policy and Options for the Marvin Ott on May 14, 2019 (Updated in October 2022).